№ 245 ნოემბერი 17, შაბათი 1890 ნოემბერი 17, შაბათი № 245

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ო. გარანცოვის ქვევრის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიის სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა

## წლიური კრება,

დანიშნული 14 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულია 21 ნოემბრისთვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (5—2)

## „დასავლეთი"

ახალი რესტორანი, კურაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლოულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—8)

## ქართული თეატრი

კვირას, 18 ნოემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ახალი პიესა

### ცოდვის შვილი

დრამა 3 მოქმ. და 4 სურათ. თხზ. გ. იოსელიანისა.

II

### პარიკმახერისას

ხუმრობა—ვოდევილი 1 მოქმედ. თხზ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი ისტორიული პიესა მეტარველი.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1890 წლის 18 ნოემბერს ტფილისის «სობრანიის» დარბაზში, დილის 9 საათზედ, დაიწყება არჩევანი მესამე სარისხის ხმოსნებისა მომავალ 1891—1894 წლისათვის. (3—3)

სახალხო თეატრი

კვირას, 18 ნოემბერს,

ოლგას ქუჩაზე, ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

### კინტო

კომედ. 3 მოქმ. თხზ. აკაკისა.

II

სცენები მიროვოი სუდიასთან

დ. კეზელისა.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენი 30 კ. გალერეა: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ. (10—4)

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ივანე დიმიტრის ძე ტატიშჩევი, რომელიც ამ თთვის 14, საღამოზე, ტფილისში ჩამოვიდა, ჩამოხდა სასახლეში. აქ პირველად მის ბრწყინვალებასთან დარბაზად იყო კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი, ტფილისის გუბერნატორი კამერგერი დ. ს. ს. თავ. გ. დ. შერვაშიძე, ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი პერლიკი, კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ერნსტი და სხვანი. მეორე დღეს მისი ბრწყინვალება იყო სხვა-და-სხვა გენერლებთან და შუადღისას-კი წაბრძანდა კავკასიის მთავარ-[illegible]

⁂ ინგლისის ელჩი სერ დრუმონდ ვოლფი, რომელიც ინგლისს უნდა წასულიყო წარსულს თთვეში, გზაზე ავად გახდა და უკანვე თეირანს გაემგზავრა. ეხლა ბ-ნი ვოლფი ისე კარგად გამხდარა, რომ ამ თთვის 15 ბაქოდგან ბათუმში გაემგზავრა, მაგრამ ტფილისში-კი არ შემობრუნებულა.

⁂ ხუთშაბათს, ამ თთვის 15, ღამის საფოსტო და სახალხო მატარებლით ბაქოში გაემგზავრა ინდოეთისა და სპარსეთის სომეხთა ეპარქიის უფროსი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ისაია ალავერდიანი, რომელიც მის უწმინდესობამ მაკარმა I წარსულ თთვის დამლევს აკურთხა. ალავერდიანი პირდაპირ თეირანში მიდის, რათა მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს გადასცეს სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსის მაკარის წერილი, და შემდეგ გაემგზავრება ისპაანში და იქ დარჩება საცხოვრებლად. ეს გამოჩენილი ეპისკოპოსი პირველად ნოქრად ყოფილა ერთს აქაურს ვაჭართან და შემდეგ ეჩმიაძინში წასულა, სადაც უსწავლია სამღვთო წერილი. აქედგან იგი სწავლის დასამთავრებლად ყოფილა პარიჟში, მანჩესტერსა და ლონდონში. უკანასკნელს დროს არქიმანდრიტობისას იგი ახალციხის კონსისტორიის უფროსად იყო. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა 50 წლისაა.

⁂ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი ამ თთვის 15 კავკავიდგან გამოემგზავრა ტფილისს. იმ ღამეს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ყაზბეგში ბრძანდებოდა და გუშინ, ამ თთვის 16, საღამოზედ ტფილისში ჩამობრძანდა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო სამ-[illegible]-ნეს, რომ გორის მაზრის ზოგიერთს სოფელში ყვავილი მძვინვარებს და ბავშვებს აზიანებსო. ამის გამო სამკურნალო მმართველობამ მკურნალი ბახუტოვი გაგზავნა გორის მაზრაში, რომ შესაფერი ღონის ძიება იხმაროს ამ სენის მოსასპობად.

⁂ ქალაქის გამგეობამ რომ სარწმუნოების განურჩევლად ტფილისის ყველა მოვაჭრეს კვირაობით ვაჭრობა აუკრძალა, ამაზედ მაჰმადიანმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა საჩივარი გაგზავნეს უმაღლეს მთავრობასთან, მაგრამ ეხლა სენატისაგან გარდაწყვეტილება მოვიდა, მათი თხოვნა შეწყნარებულ არ იქმნაო.

⁂ ხევი: ნოემბრის 5 და 6 გაავდარდა. ავდრებმა გასტანა ვიდრე 10-მდე და, თუმცა დღისით გამოიდარებს ხოლმე, მაგრამ ღამ-ღამობით-კი თოვლი მოდის. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი თოვლი მოვიდა, ასე რომ, სად ერთი არშინი აქვს სიმაღ-

## ფელეტონი

### ბორჩალოს მაზრა

(დასასრული*)

ქართველები მაზრაში სამი ათასამდე იქნება. იმათი სოფლები ქართლის სოფლებს აგონებს კაცსა და სახლები კიდევ ქართლელების მიწურს სახლებს, დიდი და პატარა სოფლები ერთმანეთში არ განირჩევიან. მთელს მაზრაში არც ერთი სკოლა არ არის, არც საერო, არც სამრევლო და არც კერძო. წერა-კითხვა იშვიათმა იცის, ქალმა უფრო ბევრმა იცის წერა-კითხვა. სამს სოფელში ორის მეტმა არავინ იცის წერა-კითხვა. ზოგს სოფელში ქართველებს დედა ენა დავიწყებიათ, ან ბევრს თათრულს სიტყვებს ურევენ ქართულს ენაში. სიმღერები დავიწყებიათ და ზოგან მინაგვარი-ღა იციან. თათრული ყველამ იცის. რადგანაც ქართველები მაზრაში ცოტაა, არც პატრონი ჰყავთ და ამასთანავე თათრებისაგან დაჩაგრულნი არიან, თავის დასაფარავად ესენიც სხვა-და-სხვა ავ-კაცობას მისჩვევიან: ისევე იპარავენ, მძარცველობენ, ფიცსა სტეხენ, როგორც სხვები. სცავ საჭიროა, ტიუილს არ ერიდებიან და ათასი სხვ. როგორც თათარი და სომეხი, ისე ქართველიც მრავალია გავარდნილი და ყაჩაღობს. ყველაფერი ისევ წინა დროინდელი აქვთ. გაუმჯობესობა არაფერში ეტყობათ. ბევრნი სცხოვრობენ გერმანელების ახლოს, ჰხედავენ მაგალითს კეთილ-ცხოვრებისას, იციან და ესმით, აგრეთვე შეძლებაც შესწევთ მიჰბაძონ, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევენ ყველა ამას, ისევ თავის გზაზედ მიდიან. ეს მარტო ქართველებზე არ ითქმის. გლეხები სახელმწიფო და საბატონონი არიან.

დუხობორები ქართველებს ვერ წაუვლენ წინ. მათს სოფლებში ისეთივე უსწორ-მასწორობაა გზა-ქუჩებისა და სახლებისა. მხოლოდ სახლები, თუმცა დაბლებია, ასე რომ ზოგში მაღალი კაცი რიგიანად ვერც-კი გაიმართება, მაგრამ უფრო სუფთებია, მიწის ზემოდ სდგას, რამდენიმე პატარ პატარა ოთახია შიგ, შიგნითა და გარედ თეთრად არის გალესილი, კრამიტი, ან ჩალა ჰხურავს და თვით ქვითკირისა, ხისა, ან ტალახისაა. ცხოვრების სახსარი მათთვის თივა და საქონელია. თივას ბევრს ჰყიდიან ტფილისში და იმითი ყოველ-გვარს სალევველს ჰყიდულობენ. პურეულობა არ მოსდით კარგად. დუხაბორები უფრო ტრიალეთის საბოქაულოში სცხოვრობენ. ესენიც უსაქმურად ბევრს დროს ატარებენ, არაყს ბევრსა სმენ და, მუშაობის მაგიერ, საქმე დღეს სიმღერაში ატარებენ ხშირად. სარწმუნოების გამო ორ ნაწილად არიან გაყოფილნი და ურთიერთს შორის დიდი შუღლი აქვთ. ამ ბოლოს დროს ისე წავიდა მათი საქმე, რომ ქმარი ცოლს არა ქმრობს და ცოლი ქმარს არა ცოლობს; ესევე ხდება მამა-შვილთა და ძმათა შორის. ხშირად ერთს სახლში დედამამა სხვა სარწმუნოებისაა, შვილები სხვასი, რის გამოც ერთმანეთი ეჯავრებათ, ხმას არა სცემენ, ლანძღვენ, სცემენ და ათას შეურაცხყოფას აყენებენ ერთმანეთს. გზაში ერთმანეთს გამარჯობას არ ეტყვიან. უცხო სოფელში რომ დაუღამდეს, ბინას არ მისცემენ. სამაგიეროდ თავისიანს დიდს პატივსა სცემენ, აგრეთვე მის სტუმარსაც. თავისებური ტანთსაცმელი აცვიათ. კაცებს საშინელი დიდი „კარტუზიანი" ქუდები ჰხურავთ, ასე რომ ხშირად პირისახე აღარა სჩანს. ლურჯი ახალუხივით ზედა საცმელი და ლურჯი, ან ჭრელი პერანგი აცვიათ, შარვალს განიერს ატარებენ. ქალებს თავი შეკოპებული აქვთ, ზედ პატარა თავ-საკრავი აკრავთ. თავ-საკრავი აყვავებულია ნაჭრებითა და ნაჭრების ყვავილებით, ზემოდამ თავ-შალი ახვევიათ, კაბები მოკლე და ჭრელები აცვიათ. ზნეობა ამათში დაცემულია. ნათელ-მირონობა არ იციან.

ბერძნების სოფლებს უფრო სისუფთავე ეტყობათ, ვიდრე დანარჩენ ტომის ხალხსა, გერმანელებ გარდა, რასაკვირველია. კლდისა ან მიწური სახლები უდგათ, მაგრამ სუფთად აქვთ მოვლილი. ქუჩები, თუმცა ვიწროა, მაგრამ უფრო სუფთებია. აქვთ სკოლები, მთავრობისაგან ნება დართულნი და კერძოდ გამართულნი. უკანასკნელებში მღვდლები ასწავლიან. წერა-კითხვა ბევრმა იცის. ზოგი მოსახლე საშუალო სასწავლებელში ზრდის შვილსა და მასწავლებლებად სკოლებში თავიანთისავე კაცის შვილები ჰყავთ. თუმცა ასეა საქმე, მაგრამ ზოგან დედა ენა დავიწყებიათ და თათრულად ლაპარაკობენ. წირვა-ლოცვაც ამ ენაზედ აქვთ. ერთობა ამათ უფრო აქვთ, ვიდრე სხვებს. ერთმანეთს შველიან ჭირშიაცა და ლხინშიაც, თავისიანს არავის აჩაგვრინებენ. აქვთ სასამართლოები და ავად თუ კარგად აწარმოებენ თავიანთ საქმეს. ბერძენი იშვიათად ჩივის სხვაზედ, ან მოძმეზედ. მოძმეს ტასოფლოს სასამარ-

*) იხ. „ივერია" № 244, და 245.

ლე თოვლსა და სად უფრო მეტიცა; კიდევ ამაზე დიდი თოვლი იქნებოდა, თბილი ამინდები რომ არ შეხვედროდა, მაგრამ თან თოვლდა და თანვეც ცოტ-ცოტაობით დნებოდა თოვლი. კობსა და გუდაურს შორის, მთაზე, 5 დღე-ღამე გზა შეკრული იყო და დღეს, 11 ამ თვისას, ძლივს გაიყვანეს სამარხილე გზა; სოფლებიდამ დიდ-ძალი ხალხი გაიწვივა საინჟინერო უწყებამ მთაზე გზის საკეთებლად.

*** გაზ. „Нов. Обозр.“-ეს შემდეგი დეპეშა მოსვლია ქუთაისიდგან მკურნალ თოფურიასაგან:

„მე განვიზრახე დავაარსო ცალკე სამკურნალო განყოფილება ჭლექით ავადმყოფთათვის და კოხის მიერ ახლად მოგონილის წესით დავუწყო წამლობა. ამის გამო გადავწყვიტე, გავგზავნო ბერლინში ორი მკურნალი ჩემის სამკურნალოსი ბ-ნნი გოლოვინი და გოსეევი, რომ ადგილობრივ თვით პროფესორ კოხის ხელმძღვანელობით შეისწავლონ ეს ახალი წესი ჭლექის წამლობისა. წინადვე დეპეშით მივწერე ბერლინში პროფესორს ლეიდენს:

„ისურვებს პროფესორი კოხი, ასწავლოს უცხო ქვეყნელს მკურნალებს თავის მიერ ახლად მოგონილი წესი ჭლექის წამლობისა?“

ლეიდენმა შემდეგი პასუხი მოიწერა: „... ლონ კოხის ახალი წესი ჭლექის წამლობისა ბერლინის ყოველს კლინიკაში“.

რაკი ასეთი პასუხი მივიღე, ბ-ნნი გოსეევი და გლოვინი ამ დღეებშივე გაემგზავრებიან ბერლინში. მათთვის სამგზავრო ხარჯს კისრულობს მისი ბრწყინვალება სამეგრელოს თავადი ნიკოლოოზ დავითის ძე, რომელმაც ... თანაგრძნობა ჩვენის სამკურნალოსადმი დაამტკიცა არა მარტო ამით, არამედ იმითაც, რომ ფული შემოსწირა იმის სახელით საწოლის გასამართავად 5 წლის განმავლობაში ღარიბ ავადმყოფთათვის. ამასთანავე მისი ბრწყინვალება გვპირდება, რომ გაგზავნილ მკურნალების დაბრუნებისათანავე შემწეობას მოგცემთ, რომ სამკურნალოსთან ინსტიტუტი გაიმართოს და ჭლექით ავადმყოფებს კოხის წესით ეწამლოსო. დასასრულ დიდად მადლობას ვუძღვნი მისს ბრწყინვალებას ჩემისა და ავადმყოფების მხრით მისის ასეთის თანაგრძნობისათვის“.

◆◆

## ქართული სახალხო თეატრი

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ სახალხო თეატრზედ, რომელიც დაარსებულია მებურნუთოვის სახლებში. ამ თეატრის მნიშვნელობის განმარტებას ეხლა წვლილად არ შევუდგებით. ყველასთვის აშკარაა, ვგონებთ, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე ფრიად მოსაწონია და ხელ-მოსამართავი. ამისთანა თეატრს შეუძლიან ხალხს შეაყვაროს დრამატიული ხელოვნება, ესტეტიკური გემოვნება გაუხსნას და უფრო რიგიანი, უფრო მართებული და ადამიანური გასართობი განუჩინოს შრომით დამაშვრალს ხელოსნობას. სამ შაურსა და აბაზს იხდის ხელოსანი და მთელი საღამო ერთობა, მთელი საღამო გონებრივს გართობასა და სიამოვნებაშია.

ასეთი სცენა, თუ რიგიანად არის მოწყობილი და წარმართული, დიდს სიკეთესა და სარგებლობას მოიტანს, ხელს ჩააწვდენს იმ წრესა და წოდებას, რომელსაც ჯამბაზებისა და აბელასთანა თვალთმაქცების მეტი არა უნახავს-რა, ისე მიიჩვევს, რომ თეატრში ყოფნა აუცილებელ საჭიროებად გადაუქციოს. მთავარ სცენას ამის წყალობით მაყურებელი შეემინება და, ამას გარდა, პაწია სახალხო სცენის ხორჩი მოღვაწენიც გაიწვრთნებიან, გამოიცდებიან, სახსარი მიეცემათ სცადონ თავისი უნარი და ნიჭი და ... გამოიჩინონ კიდეც.

ასეთს სცენას დიდი გამძლეობა უნდა, დიდი შრომა, რომ ორ-პირ მახვილად არ გადაიქცეს და მაყურებელი არ შემოიფრთხოს. თუ საქმე რიგიანად არ მოეწყო, თამაშობას განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია, თუ პირველად თეატრში ფეხ-შედგმულმა ხალხმა ყველაფერში სიყალბე ჰნახა და ურიგობის ალღო აიღო, ქვას მიაგდებს და გაშორდება, სულ ერთიანად გულს აიყრის. იაფფასიანისა და ხალხის გულისათვის უფრო გასაგებ, იმის ცხოვრების შესაფერს წარმოდგენებს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ევროპაშიაც-კი სცდილობენ ამისთანა თეატრების დაარსებას, თუმცა იქაური მდაბიო ხალხი გონებრივად გაცილებით, კარგა გაცილებით აღემატება ჩვენებურს. სულ ერთი თვეც არ იქნება, რაც ბერლინში დაარსა ერთმა მწერალმა, გვარად ბრიუნო ვილლემ, მცირე წრე „თავისუფალ სათეატრო სცენისა“ (Verein „freie Yolksbuchne“), რომელსაც უკვე 3,000-მდე წევრი ჰყავს და საკმაო თანხაც აქვს შედგენილი ამ საქმისათვის. ბრიუნო ვილლემ გამოაცხადა, რომ ამ წრეს დაარსებით აზრადა მაქვს სახალხო წარმოდგენები ვმართო, ხელოსნობას ხელოვნების სიყვარული აღვუძრა, ესტეტიკური გემოვნება გავუხსნა და გონებრივი და ზნეობრივი გასართობი ადგილი განვუჩინოვო. ამ წრემ პირველი წარმოდგენა უკვე გამართა, წარმოადგინეს იბსენის პიესა „საზოგადოების დედაბოძნი“ („Die Schiitzer der Gesellschaft“), რომელსაც ათას ხუთასამდე მაყურებელი დაესწრო. ჯერ მნელად სათქმელია, როგორ წავა ამ წრეს საქმე, ის-კი აშკარაა, რომ იქ ერთი ათასად ადვილია სახალხო თეატრის დაარსება, ვიდრე ჩვენში. იქაური მხატვარი, დურგალი, მჭედელი, გაუნათლებელი ხელოსანი-კი არა, განათლებული კაცია, გაზეთებს კითხულობს, პოლიტიკის შესახებ ბაასობს და კარგადა აქვს შესწავლილი არამც თუ თავისი მწერლები შილლერი და გიოტე, არამედ უცხო ქვეყნის მწერლებიც.

ვიმეორებთ, სახალხო წარმოდგენების მართვა სწორედ უკვდავების წყაროა გაუნათლებელ ხალხისათვის და ამიტომ დიდად გვესიამოვნა ამ სცენის დაარსება. რასაკვირველია, ჩვენი ქუცმაცი სახალხო თეატრი ბერლინისას ვერაფრით შეედრება და შეეტოლება, ისე როგორც პაწია ტფილისი უშველებელს დედა-ქალაქს გერმანიისას მხარში ვერ ამოუდგება, მაგრამ საქმე სიდიდეზედ ხომ არ არის, განა პატარა ეკკლესიაში წირვა არ დადგება, საქმე გულ-მოდგინეობაა, მოვალეობის რიგიანად აღსრულება, თავგამოდება და გულ-დადებული მეცადინეობა.

სათეატრო დარბაზი გრძელი და ვიწრო შენობაა, ფარდაგებ-დაგებული და რიგზედ ... შენობის კუთხეში ასუსულავებულია პაწია სცენა, იმდენად პაწია, რომ სამი საწოლი არ გაიმართება გაბმით. მოთამაშენი, ორიოდეს გარდა, სულ უცნობნი არიან. ჩვენ ორი პიესა ვნახეთ ამ სცენაზედ წარმოდგენილი: ა. მოჩხუბარიძის „არსენა“ და ა. ცაგარლის „ბაიყუში“. დარბაზი ხალხით სავსე იყო, ორასამდე ადამიანი დატეულიყო.

ჩვენ ამ ხელად არას ვიტყვით ძველს მოთამაშეებზედ, როგორნიც არიან ბ ნი აწყურელი, გა...ელიძე და ნებიერიძე, რომელთაც თეატრში მოსიარულე საზოგადოება ცოტად თუ ბევრად იცნობს. საყურადღებო უფრო ახალი, ჩვენთვის უცნობი, ჩვენდა მიერ პირველად ნახული არტისტებია: ქ-ნნი დიდებულიძისა, იოსელიანისა და ბ-ნნი გულისაშვილი და ადამიძე. დიდებულიძისა, ეჭვი არ არის, ნიჭიერი ქალია და კარგი არტისტი დადგება, თუ გულ-აცრუებით არ მოეკიდა საქმეს. რამდენადაც შევატყეთ, ჩვენის აზრით, ნიჭი უფრო დრამატიულ ენკვენიისა აქვს, ვიდრე კომიკურ ენკვენიისა. უმანკოდი ქალი თამამად ლაპარაკობს სცენაზედ, ეტყობა, რომ როლს ჩაჰფიქრებია, ცდილა და უშუშავნია. ქ-ნი იოსელიანისა მეორე ხარისხოვან აღმასრულებელის ადგილს დაიჭერს და ქართველ დედაკაცების როლს გვარიანად შეასრულებს. გულისაშვილი კარგია გლეხების როლში, ტიპიურად არდგენს, ეტყობა, სოფლის ცხოვრებისათვის თვალი უდევნებია და დაჰკვირვებია. მეორე — ხარისხოვან როლებშივე არა უჭირს-რა ადამიძეს. ყველა ესენი საერთოდ-კი, რასაკვირველია, ხამობენ, ჯერ რიგიანად ვერ შეწყობილან ერთმანეთში და ამიტომ ანსამბლიცა ჰკოჭლობს. კარგი რეჟისორი მთელს დასს ლამაზად მოაწყობდა და გასწვრთნიდა, ასე რომ თამამად შეიძლებდნენ კომედიების წარმოდგენას.

ვისურვებთ ამ ახლად დაწყებულის საქმისათვის ყოველსავე სიკეთესა და წარმატებას.

მანჯგლიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 8 ნოემბერი. ჩვენის სასოფლო თვით-მმართველობისთანა უბადრუკი და უფერული არ არსებობს-რა დედა-მიწის ზურგზე. ღლევანდელი მისი არსებობა გურიაში სწორედ იმას მოგაგონებს, ჩიტს რომ ფრთები დააგლიჯო, კუდი მოჰკვეცო და ბოლოს უთხრა: წადი, იფრინე, რამდენიც გენებოსო. რაღა თვით-მმართველობა არის, თუ ღმერთი გწამთ, უკეთუ გლეხები თავისს საქმეს თვითონ არ განაგებენ, თუ სოფლის სასამართლოს წევრების არჩევაში სოფელს არავინ დაეკითხება, ან დაეკითხება მხოლოდ სინიდისის გასაწმენდადა და შემკითხველი არჩევანს იმაზე დააყენებს, ვინც ერთხელვე მიზანში ამოუღია. დავიწყოთ თუ გინდ სოფლის მწერლიდგან. ეს ერთად-ერთი ცნობიერი წევრია სოფლის სასამართლოში, ერთად-ერთი გზის მაჩვენებელი დანარჩენ მოხელეებისა და, რა თქმა უნდა, მის ზნეობრივსა და გონებრივს ძალზეა დამყარებული სოფლის სასამართლოს წალმართობა; ხოლო ვის უკეთ შეუძლია მისი ზნეობრივის ძალ-ღონის გაზომვა? უეჭველია იმ გლეხკაცებს, რომელთაც მუდამ საქმე აქვთ მწერალთან. სადი მსჯელობა და თვით-მმართველობის ბუნებაც იმას თხოულობს, რომ მწერალი სოფელმა აირჩიოს, სოფელმავე გადაუჭრას ჯამაგირი; პოლიციის ბოქაული ან ადგილობრივი მაზრის სამმართველო მოწმობას უნდა აძლევდეს, რომ მან იცის თავისი საქმე. დღეს-კი მწერალი სრულიად არ ფიქრობს სოფლელების გული მოიგოს და საზოგადოების სიყვარული დაიმსახუროს. თუ უადგილოდ არის, იდებს ჯიბეში რომელისამე საპატიო კაცის ბარათსა და პოლიციის ბოქაულს დასდევს კუდში, სანამ თავს არ მოაბეზრებს თხოვნით და სანამ ეს უკანასკნელი არ გაჰგზავნის ერთ-ერთ სოფლის სასამართლოში მწერლად. ვინ დაგიდევს, თუ ეს მადლით მოვლინებული მწერალი აგდებით ეპყრობა გლეხ-კაცობას, გაბატონდება, თერთმეტს საათზე დგება, უდროვოდ არავის იღებს, უხასყიდლოდ არაფერს არ აკეთებს, და თუ ჯიბე ცალიერი ეწვიე და ავს გუნებაზე დაგიხვდა, იქნება პანღურითაც გამოგისტუმროს. არა ერთი სოფელი არის გაალმასებული თავისს მწერალზე, მაგრამ ნაღველს თავისს გულშივე იკლავს, რადგან იცის რომ, თუ დაყენება არავის უკითხავს მისთვის, არც გადაყენებას ჰკითხავენ და არა მკითხე მოამბეს-კი ყოველთვის მიბერტყვა და მიგდება მოელის. სხვა მოხელეების არჩევაში-კი დაეკითხებიან სოფელს, სულს ქვეშ რომ ვსთქვათ, მაგრამ ათასში ერთხელ თუ მოხდება, რომ სოფლის ერთგულსა და გულ-შემატკივარს კაცზე დადგეს არჩევანი. მაგალითად მამასახლისობა უფრო ხშირად იმას უვარდება ხელში, ვისაც პატიოსანის შრომით თავის შენახვა შეჰზარებია, მამასახლისობით ცოტათი ხელის გაპოხვას ლამობს და ამიტომაც სოფელ-სოფელ დაძრწის, გაელენიანს კაცებს იმხრობს ქრთამით თუ მუდარითა და ამ სოფლის ძლიერთ არჩევანის დროს დახმარებას ემუდრება. ამას შემდეგ რაღად უნდა გვი-

---

...თლოში უთაევებს საქმესა და უცხოსკი ჩუმად უხდის სამაგიეროს თავისიანების დახმარებით. საზოგადოდ, მაზრაში შურის-ძიება ყველა ტომთა შორის არის თათრების მიხედვით. ქართველებთან ბევრნი მოსახლობენ და ქართული კარგად იციან. კიდეც მოყვრობენ ქართველებს.

მცდელი და მშრომელი ხალხია ბერძნები. ბერძენი ხნავს, სთესავს, კალატოზობს, ქვასა სთლის და სარჩოს შესაძენად შორს მიდის. რაკი ერთობა აქვთ, თათრებისა ამათაც, როგორც გერმანელებს, არ ეშინიანთ. მათი ტანთსაცმელია: თავზედ შემოკრული ჩაბალახი, ან ფესკა, მოკლე მიხაკისფერი ჩოხა, სათავეში განიერი და კანჭებთან ვიწრო შალვარი და ფეხებზედ ქალამნები. ქალებისა—ჭრელი თავსაკრავი, ჭრელი თავშალი, და აგრეთვე კაბებ-სარტყლები, ფეხებზედ ბათინკები, ან ქალამნები აცვიათ, იდაყვებზედა და თავშლის წინა ტოტებზედ, გულზედ ჟღრიალებს ატარებენ.

თათრები განიყოფებიან ორ წოდებად: გლეხები და აღალარები. აღალარები ჩვენებურს აზნაურებს უდრიან უფლებით. თუმცა თათრები ყველაზედ მეტნი სცხოვრობენ, მაგრამ ყველაზედ ღარიბადა და უსუფთაოდ-კი სცხოვრობენ. იმათი სოფლები უსუფთაობით არის სავსე, ქუჩები არა აქვთ, ურმები ძლივს გაივლიან სოფლებში, ჯურღმული მიწური სახლები მიყრილ-მოყრილია; სახლის ბანებზე გზები გადადის; ნაგავი და პატივის გორები ავსებენ სახლის გვერდზედ ცალიერს ადგილებს. თვით აღალარებიც, თუმცა ზოგი მათგანი გამოჩენილ მდიდრადაც იხსენიება, მაინც უგვანო სახლებში სცხოვრობენ. ხალხი შინაც ბინძურად სცხოვრობს. ხალხი და საქონელი ერთად არის ალინთული და სუნთქავს პატივის სუნს; რასაც ჩაიცვამს, მინამ ლუკმა-ლუკმად არ იქცევა, ასე რომ, მისი ჩაცმა არას გზით აღარ შეიძლებოდეს, მინამ არ გამოიცვლის, თუნდა ჰუჰუმაც შეჭამოს. კაცის ტანთსაცმელს შეადგენს საშინელი დიდი ბუხრის ქუდი ზამთარ-ზაფხულ (ზოგი ისეთი ფაფახია, ფუთს აღარა დააკლდება-რა), ჩოხა, ახალუხი და ხშირად ზამთარ-ზაფხულ ამაებზედ ტყავი, უეჭველად ხანჯალი, განიერი შარვალი და ქალამნები. ვისაც შეძლება შესწევს, თითბრის, ან ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ხმალი და თოფი აქვს. დედაკაცები უფრო ცუდად იცვამ-იხურავენ და იშვიათად იცვლიან საცვალს გასარეცხად. თავზედ ვიწრო და მაღალ ჩიხტს იხურვენ, ზედ ჭრელს, ან წითელს თავშალს იხვევენ, ამისთანავე კაბას, წითელს პერანგს, და სხ. ფეხზე ქალამნები აცვიათ. თათრებს იარაღის ტარება ძალიან მოსწონთ. თათარი შინ შიმშილით მოკვდება და ხანჯალს თითონაც შემოირტყამს და შვილებსაც უშოვის, ხმალსა და თოფსაც ჰშოვობს. ვისაც ეს იარაღი აქვს, იმას აღარავინ სჯობიან. ქურდობა კარგი იციან დიდით პატარამდის, იარაღის ხმარება უკეთესი. შეიყრებიან რამდენიმე ძმა ბიჭები და პირველს მგზავრს თათარს, თუ სხვას სძარცვავენ; თუ წინააღმდეგობა გაუწია მგზავრმა, კიდეც ჰკლავენ. თათრები, როგორც ტფილის ქვეყნის მცხოვრებნი, შავები არიან სახით. ბევრია მათში ლამაზი ვაჟკაცი, წარმოსადეგი, კარგად ჩაცმულ-დახურული. ქალებს შორისაც იპოვება მშვენიერი, პირ-რგვალი, შავ თვალ-წარბა, კარგად მოყვანილის ცხვირ-პირით, მაღალის საროს ტანისა და სიცოცხლით სავსე. ამისთანა ქალების მოტაცება მათში ვაჟკაცობის ნიშანია. ქალების ტაცაობა აშკარად ძალიან ხშირია.

ხალხის სიმდიდრეს შეადგენს საქონელი და ცხვარი—ოჯახს ათიდამ დაწყებული-ასამდე და ათასამდე ჰყავს ხარი, კამეჩი, ცხენი, ვირი და ცხვარი. ზოგს ცხენის ჯოგები ჰყავს, უფრო აღალარებს. რადგან სასმელს არა სმენ, არც ვენახის მუშაობას მისდევენ, თუმცა ყურძენს ზედ აკვდებიან და ძლიერ იპარვენ. მოსავლის მოყვანასაც მცირედ მისდევენ. თითონაც არ მუშაობენ, ყიზილბაშებს იჭერენ სამუშაოდ. ამათში ვინც არას აკეთებს და სხვაზედ ბრძანებლობს, დიდი კაცია და ყოჩაღი. შრომას აქ ალაგი არა აქვს. მთელს დროს უსაქმურობაში და ძარცვა-გლეჯაში ატარებენ. ასეც უნდა იყოს, რადგანაც მარტო საქონლითა და ცხვარით ვერ იცხოვრებს კაცი და რადგანაც მუშაობა არ შეუძლიანთ, რომ მითი მოიპოვონ ცხოვრების სახსარი, ძალაუნებურად სხვის ნაშოვარით უნდა იკვებებოდნენ. ყველა ამის გამო ქურდობას ეჩვევა აქ კაცი.

შურის-ძიება საშინელი იციან თათრებმა. ზოგჯერ მთელი გვარეულობა არის გადაკიდებული მეორეზედ და, მინამ სისხლს არ აიღებს, შური შემდეგს თაობაზედ გადადის ანდერძით. საშინელის სისხლის ღვრა მოხდება ხოლმე ზოგჯერ: მთელი ოჯახობა სამუდამოდ ესალმება წუთისოფელს. სახლის სამკაულია იარაღი: ხმალი, თოფი, ხანჯალი, სპილენძის, ან ვერცხლის ნივთეულობა. ახალ სისტემის თოფებს ძალიან მის-

კვირდეს, თუ ყოველ დღე საჩივარი გვესმის: ამა და ამ მამასახლისმა სასოფლო ფულები გაფლანგა, ან და გარდასახადი ბევრი მოზოჰა, იმან სასოფლო პურის მალაზია გამოხრა, ამა და ამ სოფლის მოსამართლემ გაბრიელს სამი მანათი გამოართვა და ივანეს გზა გაუტარა სახლის კარებთან და საცხოვრებელი აუოხრა, თუმცა გაბრიელს თავის დღეში ფეხი არ დაუბიჯებია იქ და სხ. და სხვ. ერთის სიტყვით სოფლის მოხელეთა ნამუშავარს რომ თვალი გადაავლო, სასოწარკვეთილებას მიეცემი. ერთს მაგალითსაც ვერ ნახავ, რომ მამასახლისს ნამდვილი პატრონობა გაეწიოს საზოგადოებისათვის, სოფლის ინტერესის დამცველი ყოფილიყოს; ხშირად, ძალიან ხშირად, მათი მზრუნველობა იმაში გამოიხატება, რომ სოფელში სკოლა ან სხვა ამისთანა სახეირო დაწესებულება არ გაიმართოს, სინათლე არ შემოვიდეს და შუქი არ მიადგეს იმ წყვდიადს, რომელშიაც მათ ეგრე ეხერხებათ პარპაში. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ძვირი საშოვარია სოფლად საიმედო კაცი? ბევრი, ძლიერ ბევრი პატიოსანი და მადლიანი კაცი მოიპოვება სოფლად, ისეთი, რომელსაც საკმაოდ თბილი და თავის სოფლის, თავის მოძმის მოსიყვარულე გული უფეთქავს მკერდში, მაგრამ ამისთანა კაცებზე მაშინ დადგება არჩევანი, როცა მოხელე კაცების არჩევის დროს მეტს მართებულობასა და რიგიანობას გამოვიჩენთ. ნიმუშად მოვიყვან მამასახლისის არჩევანს, რომელიც ამ დღეებში მოხდა. აქედგან მკითხველი ცხადად დაინახავს, თუ რა წესი ჰსუფევს სოფლად არჩევანების დროს. ბოქაულის ბრძანებით შეიკრიბა კანონიერი რიცხვი სოფლელებისა. თვითონ ბოქაულიც აქ ბრძანდება. ყრილობაში გლეხკაცობას გარდა სხვა წოდებისანიც მოსულან. ძველს მამასახლისზე ყრილობაში უკმაყოფილობა ისმის და ახალს კანდიდატებს ასახელებენ. აღგილობრივი მებატონენიც აქ არიან და მუქარას უთვლიან იმათ, ვინც ძველს ემდურება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ბევრს პირში ბურთს სჩრის: ბევრი მათგანი ბატონის მიწა-წყლით და საძოვარ ადგილებით სარგებლობს და რომ სიმართლის დაცვით ბატონს აწყენინოს, ძვირად დაუჯდება. ყრილობა ბოქაულზე ამყარებს თავისს იმედს. უკანასკნელმაც ბევრი არ ალოდინა; შეუყარა თავი და შეკრების მიზეზი გამოუცხადა; ბოლოს მამასახლისის არჩევა უბრძანა, მაგრამ რჩევა მისცა-კი, რომ ძველი დასტოვეთ, და თან ქებისთაც მოიხსენია ის ძველი მამასახლისი. შეიქნება ერთი ჩოჩქოლი, ბიძგება, მუქარა. მთელი საზოგადოება ორ დასად გაიყოფა; ერთი ნაწილი ძველს მიემხრო, მეორე-კი ახალს რჩეობს. რაღაც მანქანებით ძველს ორი ხმა თუ სამი მეტი გამოუვიდა. ბოქაული განაჩენზე ხელს აწერინებს. დიდი ნაწილი საზოგადოებისა არჩევანით უკმაყოფილო რჩება და განაჩენზე ხელს არ აწერს. ბოქაულის ბრძანებით მოთავენი შეიპყრეს და ურჩიეს, ცოტა ცივი წყალი დალიეთ, ნუ სცხარობთო. ბინდმა უსწრო. სოფლელებს უსამართლობა გულს უმღვრევს; დგას ცის ქვეშ შუაღამემდის ორასიოდე კაცი, გმინავს, შფოთავს, მაგრამ ვის მიმართოს? გამოცდილებით იციან, რომ ძალა აღმართის მხენელია და ამიტომაც დროებით ემორჩილებიან თავისს ხვედრს. მეორე დღეს აირჩევენ ექვსამდე კაცსა და დაავალებენ: წადით აუწყეთ უმაღლესს მთავრობას ჩვენი გაჭირება, გააგებინეთ გუბერნატორსა და მაზრის უფროსს ჩვენი დარდი და ვარამიო. ისინიც ადგებიან, წაიღებენ რწმუნების წერილებსა და არზას მიართმევენ, ვისაც ჯერ არს; სთხოვენ: უკანონოდ და ძალ-დატანებით შედგენილი განაჩენი გააუქმეთ და ხელ-მეორედ დაგვინიშნეთ არჩევანიო. გაიგებს ამას ბოქაული, დაიბარებს ამ ვექილებს, შეუყენებს ოქმს, მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა დანაშაულობისათვის და, როგორც გურულები იტყვიან, „დააკრავს ზურგზე ლაპორტს“ და მაზრის უფროსს უგზავნის ოზურგეთში: სასტიკად დამისაჯეთ ეს კაცებიო. მაგრამ ამ საცოდავების საბედნიეროდ მაზრის უფროსად დღეს გულ-შემატკივარი კაცი გვყავს; მან ვერაფერი დანაშაულობა ვერ უპოვა ამ კაცებსა და თავიანთ ოჯახს დაუბრუნა. თვითმმართველობა არის, აბა რა ჯანდაბაა?!

დასასრულ, მივაქცევ ჩემ თანამემამულეთა ყურადღებას ზემოდ დასახელებულს არჩევანსა და ვურჩევ, რომ ფრთხილად იყვნენ, ამ მოკლე ხანში მთელი მაზრის სოფლის მოხელენი უნდა დასცვალონ და ვინძლო საიმედო კაცებს მივაბაროთ ჩვენი სოფლის ბედ-იღბალი. მოვერიდოთ, ვინც იხვეწება და უსიკვდილოდ არ ელევა ამ თანამდებობას. იმას ჩვენი საქმეების გასაძღოლად-კი არ უცემს მაჯა, არამედ თავის კუჭის გასაძღომად. მოვენახოთ ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადო ინტერესების დაცვა მიაჩნიათ თავის საკუთარ კმაყოფილებად და სიამოვნებად, რომელთაც სოფლის სიკეთე ახარებს და სატკივარი ატკივებს, რომელნიც ყოველ სასიკეთო ბიჯს ჩვენის სოფლისას წაექომაგებიან და მომხრეობას გაუწევენ, ხოლო საერთო უბედურების დროს სოფელს ფარად და ხმლად დაუდგებიან. ზოგგან ჯამაგირით ნასწავლს კაცებს ირჩევენ და ერთს წოდებაში რომ ვერ იშოვონ, მეორეში ეძებენ საიმედო კაცებსა და ჩვენ რა დაგვმართია? სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია 600—700 კომლ კაცის წარმომადგენელი გაიძვერა ვინმე იყოს.

შუბნელი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

გეგზავნით ჩემ მიერ შეკრებილს შვიდს მანეთს განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის საკულობაზედ დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ. ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ ეს შემომწირველთა სია: მღვდელმა ფილიმონ ბარბაქაძემ 1 მან., მეუღლემ მისმა ქეთევან ნეფსაძის ასულმა 35 კაპ., აზ. განგა ბეჟუაშვილმა 1 მან., აზ. ბარნაბა ნეფსაძემ 1 მან., მეორე გილდის ვაჭარმა რაფაელ გველესიანმა 1 მან., აზ. დავით ბეჟუაშვილმა 20 კაპ., აზ. თეოზია ქოჩეჩაშვილმა 20 კაპ., პრიჩ. ნიკოლოზ ბარბაქაძემ 20 კაპ., პრიჩ. ალექსანდრე მერკვილაძემ 20 კაპ, პრიჩ. დარისპან ფერაძემ 20 კაპ., მატრონა მხეიძის ქალმა 20 კაპ., აზ. ანჯაფარ ნეფსაძემ 15 კაპ., აზ. კაკია ნეფსაძემ 10 კაპ., ოქროპირ ყუმბარაძემ 20 კაპ., მარკოზ გოგოლაშვილმა 20 კაპ., გიორგი კვინიკაძემ 20 კაპ., რომანოზ ქათამაძემ 20 კაპ., ამბაკო გველესიანმა 20 კაპ., რაფიელ ქათამაძემ 20 კაპ. სულ 7 მან.

საქარის ხ-ო გიორგის ეკკლესიის მღ. ფილიმონ ბარბაქაძე

შორაპნის მაზრა
10 ნოემბერი.

---

# რუსეთი

ამ ოთხის წლის წინად რუსეთის შაქრის მექარხნეებმა პირობა შეჰკრეს, რომ ამდენსა და ამდენზე მეტს შაქარს ნუ გავყიდით შიგ რუსეთში და დანარჩენი სულ საზღვარ-გარედ ვგზავნოთო. ამ პირობის შეკვრის წყალობით მექარხნეთა შორის მოისპო მეტოქობა და შაქრის ფასიც ერთს დონეზე დადგა: არც აკლდება და არც ემატება. აშკარაა, მექარხნეებს მხოლოდ ისა უნდათ, რომ შაქრის ფასმა რუსეთში არ დაიწიოსო და მეტი სარგებლობა ენახოთო, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდება კაცი ამ საქმეს, ადვილად მიჰხვდება, რომ ეს გარემოება მაზარალებელია შაქრის მყიდველთათვისაცა და თვით მექარხნეებისათვისაც. ჯერ ერთი, რომ ყოველ წლივ რამდენიმე მილიონი ფუთი შაქარი მიდის საზღვარ-გარედ და გაცილებით იაფად იყიდება, ვიდრე შიგ რუსეთში და გასაგზავნი ხარჯიც ხომ კიდევ მეტია და მეტი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მექარხნეები ისევ იმასა რჩეობენ, დეე საზღვარ-გარედ ნურაფერს ნუ მოვიგებთ, თუნდ ცოტა-კიდეც ვიზარალოთ, ოღონდ რუსეთში ჩვენს საქონელს ფასი ნუ დააკლდებაო. საქმის ასეთის ვითარების გამო რუსეთის მცხოვრებლები ერთი ორად მეტს ფასს იხდიან თავიანთ ქვეყნის ნაწარმოებში, ვიდრე უცხოელები. თუ შაქარი მეტი გაკეთდა, გაიაფება ისევ უცხოელებს უნდა უხაროდეთ, და არა რუსებს. რაკი რუსეთში შაქარი არა იაფდება, მდაბიო შეუძლებელი ხალხი აგრე რიგად აღარ ეტანება და შაქარი ვეღარა ვრცელდება. სულ სხვა ნაირად წაიდოდა საქმე, შაქარი რომ თანდა თან იაფდებოდეს. მაშინ მომეტებული ხალხი შეეჩვეოდა შაქრის ხმარებას, მეტი გაიყიდებოდა და ამ მეტიდგან, თუმცა ფასი ეხლანდელზედ ნაკლები ექნებოდა, მექარხნეები მაინც უფრო მეტს მოიგებდნენ და ისარგებლებდნენ. თუნდა ესეც არ იყოს, რა საჭიროა, რომ უთუოდ საზღვარ-გარედ იგზავნებოდეს ეს აუარებელი შაქარი და იქ იყიდებოდეს ნაკლებად? ნუ თუ არ შეიძლება, ეს შაქარიც შიგ რუსეთშივე დატრიალდეს, ფასი იმდენად დაეკლოს, რომ სულ გასაღდეს და მექარხნეებმაც იმდენივე იღონ, რამდენსაც ეხლა იღებენ? შესაძლებელია—ადვილად მოსახერხებელიც არის, მაგრამ ცრუ მოსაზრებით თვალ-ახვეული მექარხნეები თავიანთ პირობას მაგრა ადგანან. აქამდის ეს პირობა მხოლოდ ფხვნილის შაქრის მწარმოებლებსა ჰქონდათ შეკრული, ეხლა-კი სხვა მექარხნეებიც, თავ შაქრის მკეთებლებიც, აპირობენ ამ ნაირისავე პირობის შეკვრას, თუმცა კანონი არც ერთსა და არც მეორეებს, ნებას არ აძლევს ამისას. საკვირველია, რომ აქამდის ჯერ ყურადღება არ-ვის მიუქცევია ამ საქმისთვისა და მექარხნეების ასალაგმავად კანონი არა დაწესებულა-რა.

---

## დოქტორი კოხი

და

მისი წამლობა ჭლექისა

მეცნიერებამ მოიგონა ყვავილის უებარი წამალი, მოიგონა აცრა და მით დიდი ღვაწლი დასდო კაცობრიობას. ამ რამდენისამე წლის წინად კიდევ მეცნიერებამ სძლია ისეთს საშინელს სენს, რომელსაც ცოფი ჰქვიან და ახლა გაზეთებს მოაქვთ ამბავი, რომ ერთმა ბერლინელმა მკურნალმა, სახელდობრ რობერტ კოხმა აქამდე უკურნებელის ჭლექის წამალი მოიგონაო.

ყვავილი მუსრს ადენდა ხალხს ევროპაში. ამ ასის წლის წინად წელიწადში ერთი მეათედი იხოცებოდა ყვავილითა და ერთს მეათედს კიდევ საშინლად ამახინჯებდა და სამუდამოდ ახახიჩრებდა. გამოვიდა მეცნიერი ჯენნერი, მოიგონა აცრა ყვავილისა, ანუ ყვავილის ჩირქის შემწეობით წინდაწინვე მიჩვევა ადამიანის აგებულობისა ყვავილის ასატანად და ყვავილი დაძლეულ იქმნა; მისი ცეცხლი დღეს ეგრე რიგად ვეღარავის მუსრავს, მისი კლანჭები ვეღარავის ახიჩრებს. ყვავილით დახოცილნი და დამახინჯებულნი ძალიან მცირედ არიან იქ, სადაც სავალდებულოა ყმაწვილებისათვის ყვავილის აცრა. პასტერმა კიდევ უფრო მეტად გააკვირვა ქვეყნიერობა და ჯენნერზე ნაკლები ღვაწლი არ დასდო კაცობრიობას. ცოფით სიკვდილი ადამიანისა ეხლა ძალიან იშვიათი-ღაა, მეტადრე იქ, სადაც დაარსებულია საბიქტერიოლოგიო სადგურნი და სადაც პასტერის წესით არჩენენ დაცოფილებს.

---

დევენ. ტახტები დაფენილია ფარდაგით, ხალიჩებით, ქეჩებით. ხალიჩაქეჩებს ქალები ჰქსოვენ. ამას გარდა, ქალები შინაურ საქმეს აკეთებენ: ჰრეცხავენ, საჭმელს ჰხარშავენ, წყალსა ზიდავენ დიდრონის თუნგებით—(სირცხვილია, რომ კაცმა წყალი მოიტანოს.) თათრებს ძალიან უყვართ მსუქანი და ტკბილი საჭმელები.

მსუქან ცხვრის ხორცს დიდის გემოვნებით შეექცევიან ხოლმე. ზოგს სოფლებში დუქნები სავსეა ქიშმიშლაბლაბოთი და საკვირველის სისწრაფით საღდება მთელი ტომრები და ყუთები ამ ხილისა. ფლავს საშინლად ეწყობიან. ერბოში და შაქარ-ქიშმიშში სცურავს ამათი გაკეთებული ფლავი. საჭმელებს, სიმსუქნის გამო, ქონის სუნი ასდის და უცხო კაცი, შეუჩვევლად, ძნელად სჭამს გემრიელად. თათრებს ლოცვა უყვართ. ლოცულობენ ყველგან: სახლში, კარში, მინდორში, ტყეში, ცალკე და ხალხში. ლოცვის დროს არავისი არ ერიდება. შემოიხსნის ქამარ-ხანჯალს, საზოგადოდ იარაღს, გამოიღებს უბიდან პატარა ქვას, გულ-ღია დაეცემა შუბლით ამ ქვასა და დაჩოქილი ხელ-აპყრობით და თავის მოხრით ემუდარება ღმერთს. ყოველს სოფელში აქვთ ეკკლესიები (მეჩეთები), ჰყავთ მღვდლები (მოლები). მოლები დღეში რამდენჯერმე შესდგებიან მეჩეთის მინარეთზედ და მაღალის ხმით, გალობით, იწვევენ მრევლს სალოცავად, ან ლოცვის დროს ატყობინებენ. წერა-კითხვა იშვიათმა იცის. საერო სკოლები აქ იშვიათია. თუ ასწავლიან, ისევ მოლები. მაგალ. ეკატერინენფელდის საბოქაულოში, სადაც ხუთი ათას ექვსი ათასი მცხოვრები თათარი ირიცხება, მარტო ერთი სასწავლებელი აქვთ ს. ყიზილაჯლოში. ამ სკოლაში სულ 17 თუ 20 ყმაწვილი სწავლობს. სახელმწიფო ხარჯის მოკრეფა სწორედ საცოდაობაა ხოლმე თათრებისათვის. თუ ყაზახებით არა, თითქმის შეუძლებელია მოკრეფა. მიზეზი ამისა ხალხის დიდი სიღარიბეა. ასეც უნდა იყოს: არას აკეთებენ და რითი უნდა მოიპოვონ ცხოვრების სახსარი; გარდა ამისა, ხარჯს სამხედრო ბეგარის ანუ ჯარისკაცის ფულიც ემატება, რადგანაც თათრებს ჯარისკაცი არ გამოჰყავთ და მის მაგიერ ფულს იხდიან; ამას უნდა დაეუმატოთ ის ხარჯი, რომელიც მოსდით საზაფხულო სადარაჯო რაზმის შესანახად. ზოგან კიდევ ხალხის რაიმე დანაშაულისათვის მთავრობისაგან დანიშნულია მამასახლისები ორის ჩაფარითა და ამათი ხარჯიც უნდა იხადონ. ახლა ქურდობის გამო თითქმის ყველა სამართალშია ჩავარდნილი და ძალაუნებურად ერთი ორად და სამად იხდის ნაქურდალის ფასს. ამას შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი უნდა იყოს არას მქონე გლეხ-კაცისაგან ამოდენა ხარჯის ერთად გასტუმრება ყოველ წლივ. ზემოხსენებულ ხარჯში მოულოდნელი ხარჯი, საბეგრო გადასახადი და წვრილმანი ხარჯები არ ჩავთვალეთ. თათრებს სხვა ხალხთა შორის მარტო გერმანელებისა ეშინიანთ და ამათ ვერც არას აკლებენ, ბერძენ-რუსებისა ცოტა ერიდებათ, დანარჩენებსა და ერთმანეთს ჰპარავენ საქონელს, მოსავალს, სძარცვამენ, ჰხოცვენ და ათას ნაირად აზარალებენ. ქურდობა, ძარცვა-გლეჯა და საზოგადოთ ავაზაკობა ყველგან და ყოველთვის ხდება; რიცხვი ავაზაკობისა თითქმის სულ ერთია ზამთარზაფხულ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე. წელს ექვსის თვის განმავლობაში მარტო ეკატერინენფელდის საბოქაულოში სამოცზედ მეტი ავაზაკობა მოხდა. ამ რიცხვში კაცის კვლა იყო 10, დაჭრა და კაცის სასიკვდილოდ გამომეტება 17, ძალ-დატანებით შეურაცხყოფა ორთავე სქესისა 6, ქურდობა, ძარცვა, დაწვა, აკაფვა ვენახისა, თუ საბძელ-ძეჩისა 30. საშუალო რიცხვით თვეში 10 ავაზაკობა მოდის. ეს ის რიცხვია ავაზაკობისა, რომელიც პოლიციის ყურამდე მიდის. ერთი ამდენი კიდევ ისეთი ავაზაკობანი იქნება. რომელსაც პოლიცია ვერ იგებს და რომლის გამო შინაურადვე რიგდებიან. ამისთანა ავაზაკობათა-შორის ძალ-დატანება, საბძელის წვა, საქონლის მოპარვაც ბევრი ურევია. ოღონდ-კი პოლიციამ არ გაიგოს და თათრები ყოველ ღონეს ილონებენ, რაც უნდა დიდი ავაზაკობა იყოს, მის მოსასპობლად. თათრებს საშინლად ეშინიანთ პოლიციისა, ასე რომ ზოგჯერ უბრალო საქმეზედ რომ იბარებდეს ბოქაული, თათარი გავარდება და იმალება, ზოგჯერ მთელის წლობით. მიუხედავად ამისა, ქურდობის მიჩვევისა და შურის ძიების გამო ერთხელ განთავისუფლებული თათარი უფრო ძლიერ ავ-კაცობს. ზემო ნაჩვენებ ავაზაკობის რიცხვში გერმანელების მხრივ კაცის მოკვლის შემთხვევა 1 იყო, ქართველების მხრივ კაცის კვლა 1, ქურდობა 1, ბერძნების მხრივ ერთმანეთის იარაღით დაჭრა 1, სომხების მხრით 2 ქურდობა იყო, 1 კაცის კვლა და 2—ძალ-დატანება. დანარჩენი რიცხვი ავ-კაცობისა თათრების მხრით იყო.

ყვავილსა და ცოფს გარდა საზარელი და საშინელი მტერი კაცობრიობისა იყო და არის ჭლექი, რომელიც დიდძალს ხალხსა ჰხოცავს ყოველ წლივ ქვეყნიერობაზე. და აი დღეს გამოვიდა მკურნალი კოხი და ამბობს, ჭლექის წამალი ვიპოვნეო.

კოხის სახელს წინადაც გაიგონებდნენ მკითხველები. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად, როცა ევროპაში მცირედ იჩინა თავი ხოლერამ, კოხი თავგანწირული იკვლევდა ამ საშინელის სენის ვითარებასა და მის წამლობის ღონეს. აღმოაჩინა კიდეც ის მიკროორგანიზმები, რომელიც აჩენენ, მისის აზრით, ხოლერას. ვის არ გაეგონება კოხის ბაცილების ამბავი, ეს ხოლერის ბაცილები, ანუ თვალთუჩინარი ცხოველნი, რომელნიც, როგორც გვაუწყა კოხმა, ნიშან მძიმესა ჰგვანან თავიანთ ეგებულებითა და შეხედულობით. ვინ იცის, რა-კი კოხმა მიზეზი იპოვა ხოლერისა, იქნება თავის დროზე წამალიც აღმოაჩინოს ამ ბაცილების გასაწყვეტი. ხოლერის წამლობის მოპოვება ჯერ შეჩერებულია, და ჭლექის წამლობა-კი უკვე აღმოჩნდა. დღეს კოხმა ხუთის წლის გამუდმებულის შრომითა და კვლევით ჭლექის ბაცილებს მიაგნო, შეიტყო მათი ბუნება, მათი ვითარება და წამალიც მოუპოვა ... [illegible] ჯერ დაბეჯითებით, რა წამალია ეს წამალი. თვით კოხიც არას ამბობს ჯერ-ჯერობით, რა გვარ არის შეზავებული ჩემი წამლიო. კოხმა საკმაოდ ვრცელი წერილი დაბეჭდა ერთს გერმანულს სამკურნალო კვირის გაზეთში და უამბო მკითხველებს ყოველივე გარემოება თავის ნამუშავრისა ჭლექის მორჩენისა და წამლობის შესახებ. ამ წერილში კოხი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, დიდის სიფრთხილითა და გულ-დამშვიდებით ლაპარაკობს, ცდილობს, მეტი არა სთქვასრა და მით გაზვიადებული იმედები არ გაუღვიძოს საზოგადოებას თავის აღმოჩენილის წამლისა. ჩემი წამალი მიხაკის ფერის წყალ-წყალა წამალიაო, ახალ-ახალი უნდა კეთდებოდეს, რომ არ წახდესო, ავადმყოფს უნდა ტანის კან ქვეშ პატარა შხაპუნათი—შპრიცით შეეშხაპუნოსო, ძალიან ცოტ-ცოტაო. შესაშხაპუნებელ ადგილადაო, ამბობს კოხი, ავირჩიეთ ზურგის კანი, ბეჭის თავებთან, ცოტა წელ ზემოდაო. შეშხაპუნების შემდეგ, გაივლის ასე 3—4 საათი და ავადმყოფი ჰგრძნობს, რომ მუხლებსა და სახსრებში იშლება, თავი სტკივა, ხან გულიც ერევა, აცივებს და სიცხეს აძლევს 39, 40 და 41 გრადუსამდისაცაო. მერე, როცა ციება გაუვლის, ესე 10—12 საათს შემდეგ ავადმყოფი გრძნობს, რომ ბევრად უკეთ არის, ხველას აწყებინებს და ბლომად ამოაქვს ნახველი. მადაზედაც მოდის, წონაშიაც მატულობს, ფერი მოსდის, თავისუფლად სუნთქავს და ერთ-ორ კვირაზედ სრულიად უკეთ ხდებაო. კოხი ამბობს, რომ ჩემი წამალი უფრო ისეთს ავადმყოფობაზედ ვცადე, რომელთაც ტუბერკულოზი გარედამ აქვთ და არა შიგნით, ფილტვებშიო. ამისთანა ავადმყოფებისთვის სწორედ მოსწრებაა ჩემი წამალიო. რამც თუ არჩენს ეს წამალი ასეთს სიწვილოვნებს („lupus-ი“ ჰქვიან ასეთს [illegible]), აღმოჩნდება კი-[illegible], აქვს თუ არა საზოგადოდ ამა

თუ იმ სნეულს ავადმყოფობის კაცს ტუბერკულოზი. თუ აქვს, მაშინვე ზემოხსენებულ ნიშნებს შევნიშნავთ ავადმყოფების წამლის მიღების შემდეგ, ანუ უკეთ ვსთქვათ, წამლის თუნდ ერთხელ შეშხაპუნების შემდეგვეო. თუ არა აქვს, არც ერთს ნიშანს არ შევნიშნავთ: არც გააცივებს ნაწამლს ავადმყოფს, არც მოსწყდება მუხლებსა და სახსრებში, არც გული დაუწყებს რევას. მე თვითონ შევიშხაპუნე ეგ წამალიო, განაგრძობს შემდეგ კოხი, და აღმოჩნდა მცირეოდნად გარეგანი ტუბერკულოზიო. ისე რომ ეს წამალი დიაგნოსტიკისთვის ძალიან გამოსადეგი იქნება და ადვილად გააგებინებს მკურნალს, აქვს თუ არა რომელსამე ავადმყოფს ჭლექიო.

სიჭლექის სიწვილას საკვირველად არჩენს ჩემი წამალი. სიწვილა სივდება, მერე მუწუკდება, ხმება და სცვივა თავისთავად. აღარ არის საჭირო სრულიად ის საზიზღარი ღონის-ძიება, რომელსაც დღემდე ხმარობდნენ ასეთის დამუწუკებულის სიწვილის მოსარჩენად. ხმარობდნენ დანის მსგავს კოვზსა და იმითი ჰფხენიდნენ ნასიწვილარს ადგილს. აშკარად არა მოქმედობს ეს წამალი ფილტვებით დაზიანებულებზე. ჯერ ამ მხრით არც საკმაოდ მიცდია ჩემი პრეპარატი. საჭიროა ბევრ-გვარად და მრავალის მაგალითებით კიდევ გამოვცადოთ. მაინც ის-კი ადვილად შევამჩნიე, რომ ფილტვებით დაჭლექებულსაც არჩენს რამდენსამე კვირაში, მეტადრე თუ ჭლექი დიდი ხნისა არ არის, ფილტვები ძლიერ არა აქვს ავადმყოფს დაზიანებული, შიგა და შიგ დიდი ფუღუროები არ გაუჩენია სენსაო. მკურნალობას არ შეუძლიან კაცს ახალი ფილტვები შესძინოს, ხოლო თუ ჭლექი დიდის ხნის დაწყებული არ არის, ძლიერ ადვილი მოსარჩენია. ამას-კი მაინც ყურადღება უნდა მიაქციონ მკურნალებმა, რომ კარგად გამოიკვლიონ ვითარება თითოეულის ავადმყოფისა, მიიღონ მხედველობაში ხანგრძლივობა სენისა, და ამის დაგვარად იხმარონ წამალი, ბევრი, თუ ცოტა. ეს წამალი არას აკლებს ბაცილებს, მოქმედობს მხოლოდ ჯერ ისევ ცოცხალს და დასნეულებულს ხორცზე, ჰკლავს ამ ხორცს, რომელიც მერე ნახველს ამოსდევს, ხოლო თუ გასჭირდა და არ მოჰშორდა ადამიანის აგებულობას, მაშინ სხვა სამკურნალო ღონის ძიებანიც უნდა მიიშველიოს ექიმმაო.

ამ კოხის წერილმა შესძრა არა თუ მთელი ბერლინი და გერმანია, არამედ მთლად ევროპა და ამერიკა. ის ნომერი გაზეთისა, რომელშიაც დაიბეჭდა კოხის წერილი, 200,000 ცალი გაიყიდა და რამდენსამე დღეს განუწყვეტლივ ჰბეჭდავდნენ კიდევ, მაგრამ მსურველი მისის წაკითხვის მაინც აუარებელი იყო და სტამბა ვერ ასწრობდა ყველას დაკმაყოფილებას. წერილის გამოქვეყნება უფრო ესიამოვნათ, რასაკვირველია, ჭლექით ავადმყოფებს, რომელნიც მრავლად არიან გაფანტულნი თბილ ქვეყნების კურორტებში. ეს ამოდენა ხალხი დაიძრა ყოველ მხრით და გაემგზავრა [illegible]

ავადმყოფები დაესხნენ თავს. წამალიკი ცოტაა შემზადებული ჯერ-ჯერობით. მისი შემზადება კოხს გარდა მხოლოდ ორმა მკურნალმა იცის, სიძემ კოხისამ და ერთმა მისმა თანაშემწემ. ამის გამო ავადმყოფები, რომელთაც თბილს ქვეყნებს თავი დაანებეს, მივიდნენ ცივს ქვეყანაში და ჩაცვივდნენ ასეთს გულის-ხეთქაში, ძალიან უჭირთ საქმე და იქნება იმის გამო ბევრი გამოესალმოს კიდეც წუთი-სოფელსა თავიანთისავე ხელსწრაფობის გამოვო, ამბობენ გერმანული გაზეთები.

გამოჩენილი მეცნიერნი მკურნალობისა, მნათობნი და სახელ-განთქმულნი პროფესორნი ვენისა, პარიჟისა და ლონდონისა დიდის ქებითა და სიამოვნებით იხსენიებენ კოხსა და მის აღმოჩენილს წამალს, რომლის უებრობა სჯერათ იმიტომ-რომ თვით გზა კვლევისა, რომელსაც ადგა ამ საქმეში კოხი, ნამდვილი და ჭეშმარიტი გზაა და ეს გზა უთუოდ გაამარჯვებინებდა შესანიშნავს მოღვაწეს მეცნიერებისასაო. კოხის აღმოჩენა უდიდება და უდიდებულესი ძლევამოსილობაა მეცნიერებისაო, საკვირველი გამარჯვებაა კაცისაო, უთქვამს ერთს ვენის პროფესორს თავის ლექციაში. სახელოვანს პასტერს კიდევ მეტად გულ-თბილი და თანაგრძნობით აღსავსე დეპეშა მიუწერია პარიჟიდამ კოხისთვის და მიულოცნია ასეთი სასიქადულო გამარჯვება.

## დეპეშა

15 ნოემბერი

ქაირი. გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი თავის უავგუსტოეს თანამგზავრებითურთ ბერძენთა ეკკლესიაში დაესწრო პარაკლისს, რომელიც ხელმწიფე იმპერატრიცას დაბადების დღესასწაულის გამო იქმნა გარდახდილი.

გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი უავგუსტოეს თანამგზავრებითურთ წაბრძანდა ლუქსარს, ზემო ეგვიპტეში, ქალაქ თიბის ნანგრევთ დასათვალიერებლად.

16 ნოემბერი

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა: მემკვიდრე ცესარევიჩის მგზავრობა ნილოსის ხეობაში 10 დღეს გასტანს.

რადგან ხოლერა უახლოვდება იერუსალიმს, ამიტომ აღკრძალულ იქმნა პასპორტების ძლევა იმ მლოცავთათვის, რომელნიც იქით მიდიან.

„Новости“ იუწყება, რომ პურის კამიტეტის დაარსების საქმე, იმ კომიტეტისა, რომელმაც უნდა გაარჩიოს პურები ღირსებისამებრ და თვალ-ყური ადევნოს სამზღვარ გარედ პურის გასყიდვას, გადაეცა განსახილველად ფინანსთა სამინისტროს დირექტორებისა და რამდენისამე მცოდნე კაცების კრებულსაო. განზრახული აქვთ აგრეთვე გაჰგზავნონ სამზღვარ გარედ გამოცდილი კაცი და დაავალონ შეიტყოს იმ უცხო ქვეყნების ბაზრების ვითარება და საჭიროება, რომელიც რუსეთის პურსა ჰყიდულობს.

სტამბოლი. დღეს წარუდგინეს ხონთქარს [illegible] არზა, რომელზედაც ხელი უწერიათ ყველა სტამბოლელ სომხების თავ-კაცებს.


# კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიხის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელექსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მედლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



უწყვეტ დღე ამ ელექსირის ხმარებით ადამიანს კბილები [illegible] გაფუჭებისაგან, [illegible]

ჩვენ [illegible] ეს ელექსირი გარდა, მამა ბენედიქტელნი [illegible]

[illegible] ეს წამალი და აგრეთვე ელექსირი ყველა დიდს აფთიაქში და სავაჭროებში.

[illegible] უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Séguey.

(208—59)



გამოვიდა და იყიდება რუსულის ენის სახელმძღვანელო, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

## „РУССКОЕ СЛОВО“

или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть первая, подготовительные ступени.

გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალის სურათებით და რუსული ლექსით.

ფასი ექვსი შაური

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს ცალსა, ან მეტსა, მას წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატონ სამი შაური.

იყიდება გამომცემლის ზ. ჭ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, კუკიის ხიდის ყურთან, და სხვა მაღაზიებშიაც.

მეორე ნაწილიც „Русское Слово“-ს იბეჭდება და დეკემბერში უთუოდ გამოვა სტამბიდან. (3—2)



„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდა გამოერთმევა მხოლოდ ოთხ კაპეიკად.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ხუთ ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—ხუთ აბაზად. ყდის უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გაგზავნის ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжномъ магазинѣ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.



## გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთაისელისა.

[illegible]


Доз. цен. Тифлисъ, 16-го Ноября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე